აღმოსავლეთ პარტნიორობა ყველასთვის

აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანი ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებს და პარტნიორებს შორის ურთიერთობების გაღრმავება და გაძლიერებაა. ეს პროცესი ემყარება ინკლუზიურობის და დიფერენციაციის პრინციპებს, რომელთა შორისაცაა ინდივიდუალური მიდგომა და თანამშრომლობის სტიმულებზე დაფუძნებული გზებით გაფართოება. „20 შედეგი 2020 წლისთვის“ ინიციატივის, 2020 წლის მარტის „ერთობლივი განცხადების“ და 2020 წლის მაისის „საბჭოს დასკვნების“ საფუძველზე, ევროკავშირმა 2020 წლის შემდგომი პერიოდისთვის **აღმოსავლეთ პარტნიორობის** რეგიონის პრიორიტეტები განსაზღვრა. **ხუთი დასახული ამოცანის** შესაბამისად, ეს პრიორიტეტები პარტნიორი ქვეყნების სტაბილურობას **ორ საბაზისო კომპონენტში** ინვესტირების გზით გააძლიერებს.

აღდგენა, გამძლეობა და რეფორმები: აღმოსავლეთ პარტნიორობის პრიორიტეტები 2020

5 ამოცანა

ერთად გამძლე, მდგრადი და ინტეგრირებული ეკონომიკისთვის

ერთად ანგარიშვალდებული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობის და უსაფრთხოებისთვის

ერთად გარემოს დაცვის და კლიმატის მდგრადობისთვის

ერთად სტაბილური ციფრული ტრანსფორმაციისთვის

ერთად სიცოცხლისუნარიანი, გენდერულად თანასწორი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის

2 საბაზისო კომპონენტი

ინვესტირება

პარტნიორ ქვეყნებში COVID 19-ის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური აღდგენა მწვანე და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის პროცესის დაჩქარების გზით მოხდება. ეს მოიცავს **ეკონომიკურ და საინვესტიციო გეგმას** თითოეული ქვეყნისთვის ინდივიდუალურად განკუთვნილი საფლაგმანო ინიციატივებით.

მართვა

ჩვენი პარტნიორობის საფუძველი **რეფორმებში** ინვესტირება და საერთო ფუნ**დამენტური ფასეულობების პატივისცემაა**. ეს მოიცავს დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობის სფეროში განხორციელებული რეფორმების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, გენდერული თანასწორობის, სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის მხარდაჭერას.

ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის

ძირითადი ახალი ელემენტი ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმაა. ის **ევროკავშირის ბიუჯეტიდან 2.3 მილიარდი ევროს** მობილიზებას გრანტების, შერეული ფინანსირების და გარანტიების სახით მოახდენს. ეს ფინანსები პანდემიის შემდგომ რეაბილიტაციას და **აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკის მდგრად განვითარებას** მოხმარდება, რაც მათ მეტად სიცოცხლისუნარიანს და ინტეგრირებულს გახდის. გეგმა სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების სახით **17 მილიარდამდე ევროს** მოზიდვას შეძლებს.

აღნიშნული მიზნად ისახავს შემდეგს:

✓**სატრანსპორტო კავშირების** გაუმჯობესებას

✓**მცირე და საშუალო საწარმოებისთვის** ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას

✓ინვესტიციების ჩადებას კონკურენტუნარიანობის გაძლიერების და ევროკავშირის ფასეულობათა ჯაჭვში ინტეგრაციის მიზნით

✓ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის მხარდაჭერას

✓ინვესტიციების ჩადებას გარემოს დაცვისა და კლიმატის მდგრადობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის — ენერგოეფექტიანობის მხარდაჭერას

✓ჯანდაცვის სისტემის სიცოცხლისუნარიანობის და ადამიანური კაპიტალის განვითარებას

→ გეგმა მოიცავს თითოეული **პარტნიორი ქვეყნისთვის** განკუთვნილ რიგ **საფლაგმანო ინიციატივებს**, რომლებიც რეალური შედეგების მომტანი კონკრეტული პრიორიტეტული პროექტებისგან შედგება

10 მთავარი მიზანი 2025 წლისთვის

ბოლო განახლება: 2021 წლის ნოემბერი

კომპლექსური დღის წესრიგის ფარგლებში, პრიორიტეტული სამოქმედო გეგმის სახით განისაზღვრა **ათი მთავარი მიზანი 2025 წლისთვის**. ქვეყნების საფლაგმანო ინიციატივებთან ერთად, ის მოქალაქეების ცხოვრებასა და ბიზნესის განვითარებაზე **ყველაზე დიდ ტრანსფორმაციულ ზეგავლენას მოახდენს**.

ინვესტირება კონკურენტუნარიან და ინოვაციურ ეკონომიკაში

500,000 **მცირე და საშუალო საწარმოს**

მხარდაჭერა

ინვესტირება კანონის უზენაესობაში

მაღალი რანგის ოფიციალური პირების მიერ თავიანთი **ეკონომიკური აქტივების** დეკლარირება და მათი დეკლარაციების შემოწმება

ინვესტირება უსაფრთხოებასა და კიბერმდგრადობაში

ჰიბრიდული საფრთხეების აღმოჩენისა და აღმოფხვრისთვის

საჭირო გაუმჯობესებული მექანიზმების შემუშავება; კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და **კიბერმდგრადობის** გაზრდის მიზნით, პარტნიორების პოტენციალის გაძლიერება — მათ შორის, კიბერდანაშაულის საკითხებზე ევროპის საბჭოს ბუდაპეშტის კონვენციის სრულად განხორციელების გზით

ინვესტირება მდგრად და „ჭკვიან“ სატრანსპორტო კავშირებში

3,000 **კმ**

სიგრძის პრიორიტეტული საავტომობილო და სარკინიგზო გზების

აშენება და გარემონტება

ინვესტირება ადამიანებში და ინფორმირებულ საზოგადოებაში

70,000

ინდივიდუალური მობილობის შესაძლებლობა

სტუდენტების, მასწავლებლების, მკვლევრების, ახალგაზრდების და ახალგაზრდებთან მომუშავეთათვის

ინვესტირება ინკლუზიურ, გენდერულად თანასწორ, მრავალფეროვან საზოგადოებაში და სტრატეგიულ კომუნიკაციაში

2,500 ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის, **120** დამოუკიდებელი მედია-საშუალების და **2,000** ჟურნალისტის მხარდაჭერა

ინვესტირება ჯანდაცვის სისტემის სიცოცხლისუნარიანობაში

850,000

ჯანდაცვის მუშაკის ვაქცინაცია

და მათი სამუშაო პირობების, ასევე აღჭურვილობის და თერაპიის გაუმჯობესება

ინვესტირება მდგრად ენერგეტიკაში

250,000

შინამეურნეობის მიერ ენერგიის მოხმარების

მინიმუმ 20%-ით შემცირება

ინვესტირება ციფრულ ტრანსფორმაციაში

მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა **შინამეურნეობების**

80% **-ისთვის**

ინვესტირება გარემოსა და კლიმატში

დამატებით **3** **მილიონი ადამიანისთვის უსაფრთხო წყლის** სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა, **300** **ქალაქში ჰაერის ხარისხის** მონიტორინგი და გაუმჯობესება

#StrongerTogether

#EasternPartnership

EaP | Eastern Partnership